მეტი ვიდრე უბრალოდ წყალი
MORE THAN JUST WATER

№ 0G20-0418807

D 17.07.2020

შპს „ლიდერ გრუპი"
მისამართი: ადამ მიცკევიჩის ქ. N27ბ
ელ-ფოსტა: mariamnikabadze1@gmail.com
ტელეფონი: 591 26 85 85

შპს ,,ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა" (შემდგომში ,,კომპანია") განიხილა თქვენი განცხადება დარეგისტრირებული IN20-0414438, დათარიღებული 07/07/2020წ. მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.14.02.010.079) მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმების შესახებ.

გაცნობებთ, რომ აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.14.02.010.079) გაედინება ,,კომპანიის" ბალანსზე რიცხული წყალსადენის D=250 მმ-იანი ქსელი.

თქვენს მიერ წარმოდგენილი პროექტი შეთანხმებულია „კომპანიის" შესაბამის სამსახურთან. „კომპანია" არ არის წინააღმდეგი განახორციელოთ სამშენებლო სამუშაოები წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად.

მშენებლობის ნებართვის გაცემის აუცილებელ წინა-პირობას წარმოადგენს ქსელის მომსახურების საჭიროების ან დაზიანების შემთხვევაში „კომპანიის" შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებს, დღე-ღამის ნებისმიერ დროს მიეცეთ საშუალება ტერიტორიაზე შესვლისა და მძიმე სპეცტექნიკის გამოყენებით სამუშაოების ჩატარების.

ასევე გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიაზე შესაძლებელია გადიოდეს კერძო მფლობელობაში არსებული წყალსადენ-წყალარინების ქსელები, რომელთა შესახებ ,,კომპანია" ინფორმაციას არ ფლობს.

ქსელის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით სამუშაოების დაწყების წინ გთხოვთ, დაუკავშირდეთ ,,კომპანიის" წარმომადგენელს: ვაკე-საბურთალოს ბიზნეს ცენტრის მენეჯერი კახა წამალაიძე. ტელ: 595 11 55 99.

დანართი: 1 (ერთი) ფურცელი

პატივისცემით,

გიორგი სვანიშვილი
კომერციული დირექტორი

შემსრულებელი: გ. მურღულია; ჯ. ჩაჩხალია
ტელეფონი: 293 11 11 (21 02); (11 27)

0414438



ტექ. ეკონომიკური მაჩვენებლები	

პროექტის სახელწოდება:

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

მისამართი: ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის IV მ/რ, N13-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის IV მ/რ, კორპუსი N13-ის მიმდებარედ

ნახაზის დასახელება:

გენგეგმა

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
არქიტექტორი	ლ.პაპიძე	
არქიტექტორი	ლ.ხვიჩლიანი	

მასშტაბი	1:500	ფურცელი	ფურცელი N
ფორმატი	A - 3	ა-100	ა-102
თარიღი	2020 წ.	გვერდი	8

შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"
ვაკე-საბურთალოს ბიზნეს ცენტრი
შეთანხმებულია
ხელმძღვანელი ______
რეგ. № ______ "17" ______ 20__წ.
სამუშაოების დაწყების წინ გამოძახებულ იქნას GWP-ს წარმომადგენელი
ტელ: 032 2 93 11 11

IN-20-0414438

საქართველო, თბილისი 0119, ვანის ქ.3
ტელ: +995 (32) 277 99 99
www.telasi.ge

Номер: 0605/025/20
Дата: 05/06/2020

შპს „ლიდერ გრუპის“ დირექტორ
ბ-ნ დიმიტრი თოდუას
მის. ადამ მიცკევიჩის ქ#27ბ

თქვენი 28.05.2020წ. #0528/368/20 და 01.06.2020წ. 0601/384/20 წერილების პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ მითითებულ მისამართზე (ს.კ.01.14.02.010.079) არსებულ მიწის ნაკვეთებზე არ გადის სს „თელასის" ბალანსზე რიცხული ელექტროგადამცემი ხაზები.

სს „თელასის“ გენერალური
დირექტორი ს. კობცევი

შემს.შრომის დაცვისა და სახ. უსაფრთხოების
განყ. უფროსი მ. ჩიღუნაძე
ტელ. 2 77 99 99 1(7959)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-0120196297**
თარიღი: **14/07/2020**
პინი: **0763**

ადრესატი: შპს ლიდერ გრუპი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 205275165
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ად. მიცკევიჩის ქ., №27ბ

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

შპს ლიდერ გრუპის დირექტორს,

დიმიტრი თოდუას

ბატონო დიმიტრი,

2020 წლის 13 ივლისის თქვენი N 10/01201952971-16 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის IV მიკრო/რაიონში N 13-ის მიმდებარედ მიწის ნაკვეთზე (01.14.02.010.079) არსებულ შეზღუდვასთან დაკავშირებით სსიპ - ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს პოზიციას, გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორია არსებული მდგომარეობით არ ხვდება საბაგირო შეზღუდვის ზონაში.

პატივისცემით,

დავით ჯაიანი

სააგენტოს უფროსი (დროებით მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/1716
17/06/2020

1716-21-2-202006170944

შპს "ლიდერ გრუპის" დირექტორს
ბატონ დიმიტრი თოდუას
მის. ქ. თბილისი, ადამ მიცკევიჩის 27ბ
ტელ: 591-34-26-81

ასლი: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურს

ბატონო დიმიტრი,

თქვენი 2020 წლის 6 ივნისის წერილის (სააგენტოს რეგისტრაციის **№ 1139, 09.06.2020**) პასუხად, რომელიც ეხება ქ. თბილისში ნუცუბიძის IV მკ/რ №13-ის მიმდებარედ მეორე ბლოკის მშენებლობასთან დაკავშირებით გარემოს ეროვნული სააგენტოს პოზიციის დაფიქსირებას და შესაბამისი დასკვნის მომზადებას, გაცნობებთ შემდეგს: როგორც თქვენი განცხადებიდან ირკვევა ახალი საპროექტო ბლოკის 4 მიწისქვეშა სართულის მშენებლობა ფიზიკურად უკვე განხორციელებულია. 2020 წლის 27 აპრილს სააგენტოს მიერ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში გაგზავნილ წერილში (იხ. დანართი) მითითებულია, რომ სააგენტო განახორციელებს კვლევებს „მხოლოდ ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის წინასწარ შერჩეულ ტერიტორიებზე".
ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო თავისი კომპეტენციის ფარგლებში ვერ განახორციელებს პოზიციის დაფიქსირებას და სათანადო დასკვნის მომზადებას. აღნიშნულიდან გამომდინარე განმეორებით უნდა მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს.

დანართი: წერილი 2 გვერდზე.

პატივისცემით,

ანდრო ასლანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/1195
27/04/2020

1195-21-2-202004271708

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
არქიტექტურის სამსახურის უფროსს
ბატონ თეიმურაზ ბოლოთაშვილს

ბატონო თეიმურაზ,

როგორც თქვენთვის ცნობილია, რიგ შემთხვევებში, არქიტექტურის სამსახურის შუალედური გადაწყვეტილების საფუძველზე, ქ. თბილისში გეოდინამიკურად დაძაბულ ტერიტორიებზე სამშენებლო სამუშაოების საწარმოებლად, მოქალაქეები მოგვმართავენ თხოვნით სააგენტოს მხრიდან პოზიციის დაფიქსირების და წინმსწრები ვიზუალური საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნების მომზადების მიზნით, სამშენებლოდ შერჩეულ მოედნებზე და მიმდებარე ტერიტორიების ფარგლებში. გვაქვს მაგალითები იმისა, რომ მომართვები ხორციელდება არა მარტო საცხოვრებელი სახლების ახალი მშენებლობისათვის შერჩეულ ტერიტორიებზე საჭირო წინმსწრები დასკვნების მოსამზადებლად, არამედ უკვე აშენებულ სახლებზე მიშენებების, დაშენებების, ეზოს დამცავი ღობეების და სხვა ნაგებობების მოწყობისათვის.

როგორც წესი წინმსწრები ვიზუალური საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნები მზადდება წინასწარ შერჩეულ ტერიტორიებზე ახალი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის და არა დამხმარე ნაგებობებისათვის, როდესაც სახლის მშენებლობა დასრულებულია. აქედან გამომდინარე სააგენტოს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები მიზანშეუწონელია და აზრს მოკლებულია უკვე არსებული სახლების დამხმარე ნაგებობების მოწყობისათვის გამოყოფილ ადგილებზე, საკარმიდამო ნაკვეთების ფარგლებში.

მოგმართავთ თხოვნით, შუალედური გადაწყვეტილების მიღების დროს გაითვალისწინოთ აღნიშნული გჯრემოებები. ამასთანავე გაცნობებთ, რომ სააგენტო გამოთქვამს მზადყოფნას შემდგომი თანამშრომლობისთვის და მზადაა კვლევები განახორციელოს მხოლოდ ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის წინასწარ შერჩეულ ტერიტორიებზე.

პატივისცემით,

ანდრო ასლანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო